წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25
2020 წლის 27 ნოემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №36 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.122.016418; 05/12/2017) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-7 მუხლს (საკრებულოს მუშაობის საერთო წესი) დაემატოს 5^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5^1. საკრებულო, საკრებულოს კომისიები, საკრებულოს ფრაქციები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფები უფლებამოსილნი არიან ობიექტური მდგომარეობის არსებობისას, დისტანციურ რეჟიმში ჩაატარონ საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **პაატა ახალაძე**